საქართველოს მთავრობის განკარგულება

№538 2018 წლის 6 მარტი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. სიღნაღში, ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა №26-ში მდებარე 35000 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე

განთავსებული შენობა-ნაგებობები: №1 – 2791 კვ. მ; №2 – 212 კვ. მ; №3 – 113 კვ. მ; №4 – 24 კვ. მ; №5 – 16 კვ. მ; №6 – 13 კვ. მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №56.14.43.180); სიღნაღში, ქ. სიღნაღში მდებარე 4447.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №56.14.43.304), ამავე მისამართზე არსებული 826.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №56.14.43.302), 390.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №56.14.43.303) და 8942.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (დანგრეული) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №56.14.43.300) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 292 101 (ორას ოთხმოცდათორმეტი ათას ას ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „სომგოს კომპანიას“ (ს/კ: 205219360).“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა არა უგვიანეს 2018 წლის 31 მარტისა;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 72 (სამოცდათორმეტი) თვის ვადაში, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის აშენება, ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, არანაკლებ 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპლექსის ფუნქციონირების დაწყების მომენტიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით არანაკლებ 30 (ოცდაათი) ადამიანის დასაქმება.“;

გ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. შპს „სომგოს კომპანიამ“ (ს/კ: 205219360), „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველყოფის მიზნით, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის შეცვლილი/ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც 4 თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადას.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**